# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 47

„2“ მარტი 2015 წ

ქ. თბილისი

**„სოციალური საცხოვრისი კეთილგანწყობილ გარემოში“ პროექტის ფარგლებში აშენებული სახლების ბენეფიციარებისათვის თხოვების ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 75-ე მუხლის „დ.ე“ ქვეპუნქტის, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2014 წლის 26 დეკემბრის N22.02.347 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. თანხმობა მიეცეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქ. თბილისში, დასახლება დიდი დიღომი, მიკრო/რაიონი 3, კორპუსი 26-ის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: 01.10.07.007.064) სოციალური საცხოვრისის N1 და N2 შენობა-ნაგებობებში და ვარკეთილის 3, მე-2 მ/რაიონი, 180-ე ბაგა-ბაღის მიმდებარედ არსებულ N1, N2, N3, N4 N5 და N6 შენობა-ნაგებობებში (საკადასტრო კოდი: 01.19.39.017.006) არსებული ფართები, 2 წლამდე ვადით, თხოვების ფორმით გადასცეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2014 წლის დეკემბრის N22.02.347 განკარგულების დანართი 1,2,3,4,5,6,7 და 8-ში მითითებულ ფიზიკურ პირებს, დანართი 9-ის წარმოდგენილი პირობებით.

2. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება, კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, N6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი